

ვადასტურებ წარდგენილ ფინანსურ დეკლარაციას

შპს იბერია 2005-ის დირექტორი:



/ლ.ჯიქია/

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	893903	44974	
სავაჭრო მოთხოვნები	523689	461930	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7902	2732	
მარაგები	898057	771274	-
- მზა პროდუქცია	481631	254290	
- სხვა	416426	516984	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	852269	572955	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	3175820	1853865	-
ვალდებულებები			
ფინანსური ოჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანაშემწომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები		983	
სულ ვალდებულებები	-	983	-
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2100	2100	-
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2914464	1850782	
გადაფასების რეზერვი	259256		
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	3175820	1852882	-
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3175820	1853865	-

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	5626960	
საქონლის გაყიდვიდან	5614205	
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	12755	

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3956414	
საწყისი მარაგები	771274	
მარაგების შესყიდვა	4016478	
გადამუშავების დანახარჯები	66719	
საბოლოო მარაგები	898057	
საერთო მოგება	1670545	

სხვა შემოსავალი	13006	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(311326)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(52135)	
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	(29383)	
ოჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(25233)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(405071)	-

საოპერაციო მოგება	1265474	
--------------------------	----------------	--

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	107173	
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	31298	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1403945	
მოგების გადასახადი	-	
მოგება/(ზარალი)	1403945	

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	259256	
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	259256	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1663201	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1852882	
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(340263)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3175820	

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	741756	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი	107173	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	44974	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	893903	

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ;

იბერია 2005 (ს/კ 206164238) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (7/4-2840; 01/12/2004); მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ., №5. მისი ძირითადი საქმიანობაა რვეულების წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი;

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში.

3. ფუნქციონირებადი საწარმო;

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღივებო პოლიტიკის პრინციპები

ძირითადი საშუალებები;

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ამ ნაწილის შეცვლას თან სდევს სამომავლო ეკონომიკური სარგებელი.

ცვეთა;

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილი სსსარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივიმ ეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწის ცვეთა არ ხდება. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	40 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	15-20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-15 წლამდე

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა ამოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულება სშორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები;

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები;

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ამას ემატება გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები.

შემოსავლები და ხარჯები;

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც „კომპანიაში“ ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახდებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. ყველა ხარჯის მუხლი ჩვეულებრივ აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად

წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები;

სესხით სარგებლობის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთი აქტივის შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან, რომელიც საჭიროებს საშუალოდ 6 თვეს აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის მოსამზადებლად ან გასაყიდად, კაპიტალიზდება ამ აქტივის ღირებულების ნაწილის სახით. სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვახარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე პერიოდის დასაბეგრ მოგებას.